

განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე  
„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და  
დამატებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიხედვით:

კანონპროექტის მიღების მიხედვით წარმოსდგენს ორ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულებას, რომელთა მონაწილეც საქართველოა ან რომელთა ხელმოწერასა და რატიფიცირებას აპირებს ჩვენი სახელმწიფო.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიხედვით, განისაზღვრება ის პირობები, რომელთა არსებობისას შესაძლებელია იურიდიულ პირს დაეკისროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, დგინდება იურიდიული პირისათვის გამოხაყნებულ სასჯელთა სახეები, მათი გამოყენებისა და აღსრულების წესი და პირობები, კონკრეტდება ის დანაშაულები, რომელთა ჩადენისას იურიდიული პირს ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არხი:

თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში ადვილი დასაკვირვებელია ცნებებმა და ინსტიტუტებმა, როგორებიცაა „სოციალური ბრალი“, „კორპორაციული ინტერესი“, „ორგანიზაციული ჩაკლე“ და სხვა. დღეისათვის ხშირია ისეთი დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ამა თუ იმ იურიდიული პირის სახარკებლოდ, მიხედის სხვადასხვა ხარკებლის მოტანის მიზნით ან იურიდიული პირის გამოყენებით. იურიდიული პირები არც თუ იშვიათად ხართოვნი არიან ისეთი მძიმე, ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის, როგორცაა უკანონო შემოსავლების დეკლარაცია, ცენტრალური ორგანიზაციების დანაშაულებრივ საქმიანობაში ხელშეწყობა, ტრეფიკინგი და ა.შ. ამიტომ, კორპორაციული წესით ორგანიზებული წარმონაქმნების მართვისა და კონტროლის როლი სტრუქტურის გათვალისწინებით, როგ შემთხვევებში ფაქტობრივად შექმნილი კონკრეტული დანაშაულის იდენტიფიკაცია, გარდა ამისა, ჩამოყალიბდა და აღმინისტრაციულ სამართლებრივი ხიმების გამოყენება იურიდიული პირების მიმართ გარკვეულ შემთხვევებში არ იძლევა სასურველ ეფექტს.

საბჭოთა სამართლის მექანიზმები და ასევე ზოგიერთი განვითარებული სამართლებრივი კულტურის მქონე ქვეყანა ევროს ქვეშ აყენებდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მიახნდათ, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლებოდა დამდგარიყო მხოლოდ ყოხილება პირის პასუხისმგებლობა. ამასთან დაკავშირებით ევროსაღმოსავლო გავრცელებული რამდენიმე საკითხზე, საბჭოთა კავშირში იურიდიული პირები ფაქტიურად სახელმწიფოს დახმარებას წარმოადგენდნენ, ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირები ამ სიტყვის კლასიკური გაგებით საერთოდ არ არსებობდნენ. ასეთი გამომდინარე, საუბარი იმ კერძოაში არსებულ კერძო იურიდიულ ინტერესებზე, რომლებიც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოსულიყო სახელმწიფო ინტერესებთან, ზედმეტია. მიუხედავად იმისა, რომ მიმდევართა მოხაზრება, რომ ყოველ შემთხვევაში დახმარების სუბიექტს შეიძლება წარმოადგინდეს ყოხილური პირი, რომლის ქვეშაც მიხსნულია თანამდებობის პირი, არც პირი რომელსაც მინიჭებული აქვს იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი ფუნქციები, ყველა შემთხვევაში ვერ იძლევა დადებით შედეგს. რადგან შესაძლებელია იურიდიული პირის სახელით ან მის ინტერესებში ქმედება ჩაიდინა პირმა, რომელსაც არ ეკავია ხელმძღვანელი თანამდებობა, ან შესაძლოა ასევე პირი საერთოდ ვერ დადგინდეს. აღნიშნული მიდგომის სისუსტემ თავი იხილა იმ დროს, როდესაც კანონმდებელი იძულებული გახდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ცალკეულ შემთხვევაში გაევრცელებინა ასევე იურიდიულ პირებზეც.

იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და მისი შიდა კანონმდებლობაში დანერგვის აუცილებლობა აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილე საქართველოა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია „ევროს გათვორების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენცია (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის N 335-ის დადგენილებით), გაეროს 1999 წლის საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 7 თებერვლის N 1480-III-ის დადგენილებით), 1997 წლის 27 იანვრის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სტრასბურგის ევროპული კონვენცია (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 25 სექტემბრის N 509-III დადგენილებით) და ბავშვთა ევლუციის კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ

(რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 27 სექტემბრის №1675-IX დადგენილებით).

აღსანიშნავია 1999 წლის 27 იანვრის „კორუფციასზე ხოსხლოს სამართლის ევროპული კონვენცია“, რომელიც საქართველოს მიერ ხელმოწერილია 1999 წლის 27 იანვარს და არ არის რაციფიცირებული. აგრეთვე ევროპის საბჭოს „დამამხრებელი ქაქტრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2005 წლის კონვენცია. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 18 მასისის №1454-რს დადგენილებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტში ხარატიფიცირებულ წარედგინა „ტრანსნაციონალური ორგანიზაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი „დადამახვებით, ვახსაკუორებთ ქაქტრობითა და ბავშვებით ვაქტრობის თავლიან აცილების, აღკვეთისა და დახჯის თაობაზე“. ხხენებული კონვენციების ხარატიფიცირებულ წარდგენამდე აუცილებელია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ამ კონვენციებთან შესაბამისობში მოყვანა.

სემოაღნიშნული კონვენციების ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნაა იურიდიული პირების ხოსხლოს სამართლის პასუხისმგებლობის შემოღება შიდა კანონმდებლობით.

აღნიშნული ხაერთაშიორისო სამართლებრივი აქტების საქართველოსათვის ხაეაღდებული ძალის მინიჭება იქმნიშენელთვანწილადაა დამოკიდებული საქართველოს ანტიკორუფცია ერთიან ევროპულ სამართლებრივ სიერცქში. მათთან მიერთება ერთ-ერთი უმნიშენელთვანეს მოთხოვნათაგანია, რახაც ევროპული სტრუქტურები მოთხოვენ საქართველოსაგან. აქვე უნდა აღისიშნოს ისიც, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური ხება, ამ აქტების საქართველოს კანონმდებლობაში დახერგვის მიხასწმეწინიდილობის თაობაზე, გამოხატულ იქნა მათი ხელმოწერით და საქართველოს პარლამენტის მიერ მათი რაციფიკაციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აუცილებელია პროექტში ახასხელ-ცელილებათა განხორციელება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობაში.

კანონპროექტზე მუშაობის პროექტში შესწავლილი და გააჩნელი ხებული იქნა სახელგარჯარეთის რაიონ ქვეყნის (ხაურახუეთი, ხიღურღაინდები, დანია, შვეიცარია, ესტონეთი, მადედა და სხვა) გამოცდილება იურიდიული პირის მართო ხოსხლოსსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ.

კანონპროექტის თანახმად, იურიდიულ პირს ხოსხლოსსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს ხოსხლოს სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ხადენილია იურიდიული პირის ხახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან და მის ხასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ. პასუხისმგებელ პირში

კი მოიაზრება იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე, მისი სახელით ვადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის საშეუვალე პირი, საკონტროლო, სარევიზიო, საკონსულტაციო ორგანოს წევრი.

იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ დანაშაულებრივი ქმედება ნადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი შემსრულებელი (გამოყენებით) ან/და მის სახარჯებლად, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მისთვის ფიზიკური პირი.

კანონპროექტის მიხედვით, იურიდიული პირის პირად შეიძლება გამოყენებული იქნეს სახჯელის შემდეგი სახეობის ორგანო, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ქონების ჩამორთმევა, ლიკვიდაცია. ამასთან, ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სახჯელად, ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სახჯელად, ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სახჯელად.

ამასთან, ლიკვიდაციის პასუხისმგებლობის ზომად გამოყენების შემთხვევები შეზღუდულია. კერძოდ, ლიკვიდაცია შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაში თუ დანაშაულებრივი საქმიანობა იურიდიული პირის შექმნის ძირითად მიზეზს ან მისი საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. ასეთი შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს ის, რომ იურიდიული პირი თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა იმყოფებოდეს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან მომსახურებას (მაგალითად საგანმანათლებლო, სამედიცინო, სადაზღვევო, საბანკო და სხვა დაწესებულებები), ახორციელებდეს და მისი ლიკვიდაციით შესაძლოა დაირღვეს საზოგადოებრივი ინტერესი. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული იქნება პასუხისმგებლობის სხვა ზომა.

კანონპროექტით დადგენილი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება საქართველოსა (კერძო სამართლის იურიდიული პირები) ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირების (მათი უფლებამოსიან პირების) მიმართ.

გათვალისწინებული იქნა რა ის გარემოება, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ხიბლავ იქნება სვენი სამართლებრივი სისტემისათვის, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა მხოლოდ რამდენიმე დანაშაულისათვის, რაც იკონსტიტუციური იყო კონვენციების მოთხოვნათა შესახებ ელემენტად. იქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის განვითარების პარადიგმურად, დახვედრის განვითარებული სახელმწიფოების ანალოგიით, შესაძლებელია იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

გავრცელებულ მთელ რიგ დანაშაულებზე პროექტის შესაბამისად, იურიდიულ პირს ხისხლისხმართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსის 143<sup>1</sup> (აღამიხით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)), 143<sup>2</sup> (არასრულწლოვანი ვაჭრობა (ტრეფიკინგი)), 194-ე (უკანონო შემოსავლის დეკლარაცია), 221-ე მუხლის (კომერციული მოსყიდვა) პირველი ნაწილით, 224<sup>1</sup> (რეკრუტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა), 323-ე – 330-ე (ტერორისტული აქტი, ტექნოლოგიური ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა, საერთაშორისო დაცვით მონარგებლუ პირზე ას დაწესებულებაზე თავდასხმა, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელშეწყობა ანდა მასში მონაწილეობა, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება, მძევლად ხელში საგდება ტერორისტული მიზნით, სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში საგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით), 330<sup>1</sup>-330<sup>3</sup> (ტერორისტული დანაშაულის სადენისაკენ წაქეზება, ტერორისტული დანაშაულის სადენაზე დაყოლიება, მომზადება (სერვის) ტერორისტული დანაშაულის სადენის მიზნით) 331<sup>1</sup> (ტერორიზმის დაფინანსება), 339-ე (ქრთამის მიცემა), 339<sup>1</sup> (კორუფციული უემოქმედება), 364-ე (სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებისათვის ხელის შეშლა), 365-ე (მკვლელობა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით) და 372-ე (მოწმის, დახარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან იძულება), მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.

ტრეფიკინგისათვის იურიდიული პირის ხისხლის ხმართლის პასუხისმგებლობის დაწესებას მოითხოვს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ კონვენციის „ტრეფიკინგის შესწერების, სახშობისა და დასჯის შესახებ“ გაეროს ოქმი.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული იურიდიული პირების მიმართ პასუხისმგებლობის გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებასთან ხელის შეშლის დანაშაულებზე აღნიშნულის გათვალისწინებით, იურიდიული პირების პასუხისმგებლობა წესდება 364-ე, 365-ე და 372-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.

კახიხაროექტით გათვალისწინებული ტერორისტულ დანაშაულებზე, იურიდიული პირების ხისხლისხმართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გამოძინარეობს „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის თაობაზე“ გაეროს 1999 წლის საერთაშორისო კონვენციიდან და „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპული კონვენციიდან. გარდა ამისა, კოდექსს ემატება ახალი 331<sup>1</sup>

მუხლი, რომლითაც ხისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგინდება ტერორიზმის დაფინანსებისათვის.

კანონპროექტის თანახმად, „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლში მოცემულ განმარტებასთან შესაბამისობაში მდგომ ორგანიზებული ჯგუფის განმარტება.

კანონპროექტით გათვალისწინებულია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ცალკეული დანაშაულების ჩადებისათვის სახეჯგოს მინიმალური ზღვარის ოთხ წლამდე გახრდა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

კანონპროექტით ხდება ხისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული „აღადმიახით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და „ექსპლუატაციის“ ცნებების ვერაპის საბჭოს „აღადმიახით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2005 წლის კონვენციაში მოცემულ ანალოგიურ ცნებებთან მაქსიმალური პარმონიზაცია. ამას გარდა, ხდება ხისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის პირის მიმართ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სამი წლის ვადით დაწესება.

კანონპროექტი ითვალისწინებს „ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ 2005 წლის ვერაპის საბჭოს კონვენციასთან საქართველოს ხისხლის სამართლის კოდექსის პარმონიზაციას. ტერორიზმის პრევენციის ნაწილში, კერძოდ, კოდექსს ემატება ასეთი დანაშაულის შემადგენლობები - ტერორისტული დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზება; ტერორისტული დანაშაულის ჩადენასე დაყოფილება; მომზადება (წვრთნა) ტერორისტული დანაშაულის ჩადენის მიზნით.

ცვლილებას განიცდის ასევე უკანონო შემოსავლების დეკლარაციის ცნება კოდექსის 194-ე მუხლში. კერძოდ, ამ ტერმინის განმარტება შესაბამისობაში იქნა მოყვანილი „ფულის გათვორების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ სტრასბურგის კონვენციის პირველ და მე-6 მუხლებთან.

კანონპროექტის კიდევ ერთ ნოვაციას წარმოადგენს რეკონსტრუქციულ დაჯგუფებაში მონაწილეობის კრიმინალიზაცია. ასეთი ამერიკული მოდელის მსგავსად, დასუჯაი იქნება თვით დაჯგუფებაში მონაწილეობა, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედება.

კოდექსს ემატება ასეთი 344<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც დგინდება პასუხისმგებლობა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანისათვის, ასეთი დამატების საქართველოს გამომდინარეობს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის „სახმელეთო, საზღვაო და ხაზოვანი საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ“ ოქმიდან, კერძოდ, მისი მე-6 მუხლიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ. ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ხარჯებს.

ბ. ბ) კანონპროექტის გადგენა ბიუჯეტის საშემოსულო ნაწილზე:

კანონპროექტი არ მოახდენს გადგენას ბიუჯეტის საშემოსულო ნაწილზე.

ბ. გ) კანონპროექტის გადგენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:  
კანონპროექტი არ მოახდენს გადგენას ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე.

ბ. დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:  
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ. ე) კანონპროექტის მოხალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:  
კანონპროექტით მოხალოდნელია ფინანსური შედეგების დადგომა იმ იურიდიულ პირთა მიმართ, რომლებიც საბიუჯეტო კანონპროექტით გათვალისწინებულ სიხლის საზღვრის დანაშაულებს.

ბ. ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მონაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის თენობის განსახდერის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე გადასახადს, მონაკრებელს ან სხვა გადასახადს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

ბ. ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ. ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ირმსრიც და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება შეესაბამება საქართველოს ირმსრიც და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში  
მიღებული კონსულტაციები:**

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ექსპერტებსა და სხვა დაწესებულებებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულები) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ექსპერტებსა და სხვა დაწესებულებებს.

დ. გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ. დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პრეზიდენტი.